# სურსათის და ჯანსაღი კვების მულტისექტორული
# სამოქმედო გეგმა (2017-2020)

| # | ძირითადი მიმართულებები /ღონისძიებები | შეფასების ინდიკატორი | არსებული სტატუსი | ცვლილების საჭიროება | სამიზნე (მისაღწევი შედეგი - 2018 წლისთვის) | შესრულების პეროდი | | | | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი ორგანიზაციები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | სურსათის და ჯანსაღი კვების პოლიტიკის განვითარების ქმედებების კოორდინაცია/მართვა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება | | | | | | | | | | | |
| 1.1 | მთავარი საკოორდინაციო ორგანოს დაარსება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ეროვნული პოლიტიკის გატარებაზე; | სურსათის და ჯანსაღი კვების პოლიტიკის და განვითარებეის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. | სუსტი | **საჭიროა:**<br><br>მაკოორდინირებელი ორგანოს დამტკიცება, და კომუნიკაციის გაუმჯობესება.<br><br>საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების განხორციელება.<br><br>მედია და სოციალური კამპანიების განხორციელება. | სურსათის და ჯანსაღი კვების პოლიტიკის მართვის და კომუნიკაციის სისტემების გამართული ფუნქციონირება | + | | | | საქართველოს მთავრობა<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC<br><br>მასმედია | WHO<br><br>UNICEF<br><br>USAID<br><br>EUROCARE | |
| 1.2 | სამოქმედო გეგმის და აქტივობების განვითარება ან გაძლიერება; საქართველოს გარკვეული რეგიონების თავისებურებების გათვალისწინება. ქმედებების კოორდინირება სხვა სექტორების ჩართვით, მთავრობის სხვადასხვა დონეებზე; | | | | | + | + | + | + | | | |
| 1.3 | ინფორმაციის ფართოდ მიწოდება მოსახლეობისათვის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ყველა სოციალურ დონეზე, ჯანსაღი კვების უპირატესი მნიშვნელობის (სიცოცხლის სრული ციკლის პერიოდში) და კვებასთან ასოცირებული დაავადებების პრევენციული დატვირთვის საკითხებში; | | | | | + | + | + | + | | | |
| 2 | სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (სურსათის მდგრადი მიწოდება) | | | | | | | | | | | |
| 2.1 | სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდა (სურსათის სიუხვე), ხარისხის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოსახლეობაში (სურსათის ადექვატური | ხელმისაწვდომობა მრავალფეროვან სასურსათო პროდუქტებზე | სუსტი | **საჭიროა:**<br><br>კანონმდებლობის | სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდა | + | + | + | + | საქართველოს სოფლის მეურნეობ | WHO<br><br>UNICEF | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განაწილება), უპირველესად ნუტრიენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობაში, უკიდურესი შიმშილის პრევენციის პასუხად, შემდეგი პარამეტრების გაუმჯობესებით: | | | დახვეწა<br><br>და სწორი სასურსათო პოლიტიკის წარმოება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით<br><br>სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის განვითარება | (სურსათის სიუხვე), ხარისხის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოსახლეობაში (სურსათის ადექვატური განაწილება), | | | | | ბის სამინისტრო<br><br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>მასმედია | USAID<br><br>EUROCARE | |
| **2.2** | • სურსათის მდგრადი მიწოდება ეროვნულ დონეზე [სასურსათო პროდუქტების უწყვეტი წარმოების ხელშეწყობა, სოფლის ეკონომიკის და საზოგადოებრივი კავშირების სტიმულირება; სასურსათო ინდუსტრიის და ვაჭრობის განვითარება]. | | | | | + | + | + | + | | | |
| **2.3** | • სურსათის ხელმისაწვდომობის, ხარისხის და სათანადო კვებითი ღირებულების უზრუნველყოფა (ხელმისაწვდომი ფასები სურსათზე; დრო და შესაძლებლობა სურსათის შეძენისათვის; სურსათის სახლის პირობებში შენახვის სათანადო პირობები; მომზადების უნარ-ჩვევები; კვებითი განათლება; მარკირება, რეკლამირება მარკეტინგი და ხარისხის კონტროლი). | | | | | + | + | + | + | | | |
| **2.4** | "სახლის გარეთ" მოხმარებული სურსათის მომარაგების გაუმჯობესება, განსაკუთრებით სახელმწიფო დაქვემდებარების დაწესებულებებში (სკოლები, საბავშვო ბაღები, ბავშვთა სახლები, საავადმყოფოები, ობოლთა თავშესაფრები, მოხუცებულთა სახლები, ციხეები, სამხედრო ბაზები და სხვ.) | | | | | + | + | + | + | | | |
| **2.5** | სასურსათო უსაფრთხოების შესახებ თანამედროვე და ზუსტ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკოსებისათვის. | | | | | + | + | + | + | | | |
| **3** | **სურსათის უვნებლობის პოლიტიკის განვითარება** | | | | | | | | | | | |
| **3.1** | ხარისხიანი და უვნებელი სასურსათო პროდუქტების წარმოების შესახებ ადეკვატური კანონმდებლობის შექმნა | საკვებით გადაცემადი დაავადებების გავრცელების მაჩვენებელი | **სუსტი** | **საჭიროა:**<br><br>სურსათის უვნებლობის სწორი პოლიტიკის ფორმირება | ხარისხიანი და უვნებელი სასურსათო პროდუქტების წარმოების და იმპორტის უზრუნველყოფა | + | + | | | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | WHO<br><br>USAID<br><br>EUROCARE | |
| **3.2** | სასურსათო პროდუქტების ხარისხის ანალიზისთვის თანამედროვე ლაბორატორიების შექმნა. ლაბორატორიაში მომუშავე პერსონალის ტრენინგი. | | | | | + | + | + | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პარლამენტი<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC<br><br>მასმედია | | |
| 3.3 | სასურსათო პროდუქციის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და მისი ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან: | | | შესაბამისი საკანონმდებლო და პროგრამული უზრუნველყოფა | | + | + | + | | | | |
| 3.4 | • საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (ISO 9000) | | | | | + | + | + | | | | |
| 3.5 | • codex alimentarius – ით გათვალისწინებული საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის წარმოებებში დანერგვა და ამოქმედება. | | | | | + | + | + | | | | |
| 3.5 | • საკვები დანამატების, კონტამინანტების, ტოქსიკანტების, ასევე საკვების გენური მოდიფიკაციების მონიტორინგი (სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის/ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO/WHO) გაერთიანებული საექსპერტო კომიტეტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების შესაბამისად) | | | | | + | + | + | | | | |
| 3.6 | • გარემოს (ნიადაგი, წყალი) დაბინძურებით გამოწვეული სასურსათო პროდუქტების დაბინძურების რისკის მენეჯმენტი. | | | | | + | + | + | | | | |
| 3.6 | სურსათით გადაცემადი დაავადებების შეტყობინების და მონიტორინგის სათანადო სისტემის ფორმირება. | | | | | + | + | + | | | | |
| 3.8 | საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობისა და სანიტარიის სფეროში. | | | | | + | + | + | + | | | |
| 3.9 | სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის, ფერმერების ცოდნის ამაღლება სურსათის უვნებლობის სფეროში. | | | | | + | + | + | + | | | |
| **4** | **არასრულფასოვანი კვების (მალნუტრიციის) პროფილაქტიკა** | | | | | | | | | | | |
| 4.1 | უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა | ნუტრიენტების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების და | **სუსტი** | **საჭიროა:** სწორი პოლიტიკის შემუშავება | ღარიბი მოსახლეობის უზრუნველყოფა | + | + | + | + | საქართველოს სოფლის მეურნეო | WHO<br><br>UNICEF | |
| 4.1.1 | • სასურსათო უსაფრთხოების და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების იდენტიფიკაცია; | | | | | + | + | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზრდაში ჩამორჩენის გავრცელების მაჩვენებლები | | და სათანადო სერვისების განვითარება<br><br>თემატური პროგრამების შემუშავება და რეალიზება<br><br>მიზნობრივი პროგრამების და რეგიონული შესაძლებლობების ჰარმონიზაცია და ინტეგრირებული მართვა | მინიმალური მაკრონუტრიენტული მოთხოვნილებებით.<br><br>კვების მდგომარეობის გაუმჯობესება, და მიკრონუტრიენტების დეფიციტის შემცირება.<br><br>5%-ით შემცირება 5 წლამდე ასაკის ბავშვების რიცხვის, რომელთაც აღენიშნება ზრდაში მკვეთრი (ასაკთან მიმართებაში) ჩამორჩენა;<br><br>ანემიის შემცირება 5-10%-ით, რეპროდუქციული ასაკის ქალებში და ბავშვებში;<br><br>5%-ით შემცირება მცირე წონით დაბადებული ბავშვების რიცხვის;<br><br>ბავშვთა სიგამხდრის (წონის მკვეთრი ჩამორჩენა სიმაღლესთან) შემცირება 5 %-ით. | | | | | ბის სამინისტრო<br><br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს პარლამენტი<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC | USAID<br><br>EUROCARE | |
| **4.1.2** | • სურსათის არაადეკვატური მოხმარების რაოდენობრივი შეფასება და ხარისხის განსაზღვრა; | | | | | + | + | | | | | |
| **4.1.3** | • სასურსათო უსაფრთხოების და სოციალური დაუცველობის მიზეზების დადგენა. სასურსათო უსაფრთხოების და სოციალური დაუცველობის შეფასებასა და მონიტორინგთან დაკავშირებული მონაცემების შეკრება, ანალიზი და მათი ხარისხის გაუმჯობესება; | | | | | + | + | | | | | |
| **4.1.4** | • სიღარიბესთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა: კანონმდებლობა მინიმალური ხელფასის შესახებ, უმუშევრობა, არასაკმარისი განათლება, ბავშვებზე ზრუნვა და მომსახურე ქალების მხარდაჭერა, და სხვ. | | | | | + | + | + | + | | | |
| **4.2** | ადეკვატური შესაძლებლობების განვითარება მალნუტრიციასთან მიმართებაში. თემზე დაფუძნებული კვების პოლიტიკის განვითარება. “ყველა ღარიბისათვის” საკვების მიწოდებით (სოციალური მუშაკების შერჩევა და ტრენინგი თემის მობილიზაციის მეთოდების შესახებ, ყველა უღარიბეს ოჯახთან მისაღწევად კომიტეტების (ადგილობრივი ერთეულები) და სათემო კვების ადგილების დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს: | | | | | + | + | + | + | | | |
| **4.2.1** | • დამატებით კვებას - ბავშვებისათვის, რომლებიც არასრულფასოვნად იკვებებიან; | | | | | | | | | | | |
| **4.2.2** | • მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამის კვებას – მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. | | | | | | | | | | | |
| **4.3** | ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტის პროფილაქტიკა: | | | | | + | + | + | + | | | |
| **4.3.1** | • ვიტამინებისა და მიკროელემენტების დანამატების უზრუნველყოფა მაღალი რისკის მოსახლეობისათვის (იოდის, ვიტამინების, რკინის, ფოლიუმის მჟავას, კალციუმის და სხვ. შემცველი პრეპარატების საყოველთაო ან | | | | | + | + | + | + | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მიზნობრივი განაწილების პროგრამების განვითარება). | | | | | | | | | | | |
| 4.3.2 | • სასურსათო პროდუქტების ფორთიფიცირების ხელშეწყობა: | | | | | + | + | + | + | | | |
| 4.3.2.1 | - პურის ფქვილის რკინითა და ფოლიუმის მჟავით, აგრეთვე მარილის იოდით ფორტიფიცირების ხელშეწყობა/შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის/ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა. | | | | | + | + | + | + | | | |
| 4.3.2.2 | - ვიტამინებით და მიკროელემენტებით მდიდარი პროდუქტების მოხმარების ხელშეწყობის პროგრამების განვითარება – საგანმანათლებლო და სოციალური მარკეტინგის პროგრამების ხელშეწყობა. თემის ადვოკატირება | | | | | + | + | + | + | | | |
| 4.4 | ინტეგრირებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ფორმირება, ფორტიფიცირებული საკვების წარმოების/იმპორტის/ვაჭრობის მუდმივი მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის/ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მოცვით. | | | | | + | + | + | + | | | |
| 5 | **ჯანსაღი კვების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა და კვებითი ქცევების შეცვლა** | | | | | | | | | | | |
| 5.1 | ჯანსაღი კვების გაიდლაინების შემუშავება. ჯანსაღი კვების ხელშეწყობა გაიდლაინებისა და "PR" კამპანიების განხორციელებით. | ჯანსაღი კვების ძირითადი პრინციპების ცოდნის, დამოკიდებულებ ის, და ჯანსაღი კვებითი ქცევების შესწავლის მონაცემები<br><br>ჭარბი წონის გავრცელების მაჩვენებლები | **სუსტი** | **საჭიროა:**<br><br>ჯანსაღი კვების აქტუალიზ აცია და პროპაგანდ ა<br><br>თემის პოპულარი ზაციის მხარდარდა მჭერი კამპანიების | ჯანსაღი კვებითი ქცევების ფორმირება მოსახლეობაში: ბავშვთა მოსახლეობის 20%; და მოზრდილი მოსახლეობის 10%<br><br>ხილის და ბოსტნეულის ყოველდღიურ | + | + | + | + | საქართვე ლოს შრომის, ჯანმრთე ლობისა და სოციალუ რი დაცვის სამინისტ რო<br><br>NCDC<br><br>განათლებ | WHO<br><br>UNICEF<br><br>USAID<br><br>EUROC ARE | |
| 5.2 | ჯანსაღი კვების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამ პროცესებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების, მედიის და პირველადი ჯანდაცვის სამსახურების აქტიური ჩართვის საშუალებით. | | | | | + | + | + | + | | | |
| 5.3 | არაჯანსაღი კვების ხელშემწყობი რეკლამებისთვის ხელის შეშლა, განსაკუთრებით, როდესაც ეს რეკლამები გათვლილია ბავშვებზე. | | | | | + | + | + | + | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5.4** | შეცდომაში შემყვანი სასურსათო რეკლამების აკრძალვა, რომლებიც ეხება მათ კვებით ღირებულებას და სხვა მახასიათებლებს. | | | წარმოება და შესაბამისი ადვოკატირება<br><br>საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამების და სოციალური კამპანიების წარმოება<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციების წახალისება და მხარდაჭერა ჯანსაღი კვების პრინციპების დამკვიდრებაში | ი მოხმარების გაზრდა დამატებით 3 პორციით;<br><br>მარილის (ნატრიუმის) მოხმარების შემცირება 30%-ით;<br><br>თავისუფალი შაქრის მიღების შემცირება 5%-ით;<br><br>ჭარბი წონის გავრცელების მაჩვენებლების შემცირება (ბავშვებში - 10% -ით, მოზარდებში 5 %-ით, და მოზრდილებში 5%-ით);<br><br>ნაჯერი ცხიმების შემცირება 3%-ით და ტრანს ცხიმების 1%-თ შემცირება საერთო ენერგიაში; | + | + | + | + | ისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>მასმედია | | |
| **6** | **ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვთა კვების პოლიტიკის განვითარება** | | | | | | | | | | | |
| **6.1** | ეროვნული საკონსულტაციო კომიტეტის შექმნა - ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვთა კვების პროგრამებთან დაკავშირებით. | 6 თვემდე ექსკლუზიური ძუძუთი კვების მაჩვენებელი | **სუსტი** | **საჭიროა:**<br><br>ძუძუთი კვების პოპულარიზაციის სოციალური კამპანიების და | ექსკლუზიური ძუძუთი კვების მაჩვენებლის გაზრდა 70%-მდე | | | | | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის | WHO<br><br>UNICEF<br><br>USAID<br><br>EUROCARE | |
| **6.2** | დედების მხარდამჭერი ჯგუფების (დმჯ) - რომელთა მიზანია დედის მხრიდან დედის დახმარება ძუძუთი კვების განხორციელებაში, რაც შესაძლებელია პრაქტიკული და სამეცნიერო ინფორმაციის მოწოდებით, მოტივაციით, პრობლემების გადაჭრის გზების დასახვით და მორალური მხარდაჭერით. | | | | | + | + | + | + | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6.3** | ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვთა კვების ხელშემწყობი პროგრამების, სტანდარტების, მონიტორინგისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების (მაგ.: ბავშვისადმი კეთილგანწობილი საავადმყოფოს ინიციატივის) ინტეგრაცია მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებისა და პირველადი ჯანდაცვის სერვისებში. | | | მხარდამჭერი აქტივობების წარმოება | | + | + | + | + | სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>NCDC<br><br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | |
| **6.4** | კოდექსის მონიტორინგის ეროვნული სისტემის ფორმირება - საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება (სასურველია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე), რაც ხელს შეუწყობს ძუძუთი კვების ჩვევების დანერგვას მოსახლეობაში და ხელოვნური საკვების აგრესიული მარკეტინგის თავიდან აცილებას. | | | | | + | + | + | + | | | |
| **6.5** | ძუძუთი კვების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო რესურსების ცენტრის განვითარება. ძუძუთი კვების საკითხებზე სერტიფიცირებული სასწავლო პროგრამების გამოყენებით საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერება და სამედიცინო პერსონალის ფართო ქსელის მოცვა. | | | | | + | + | + | + | | | |
| **6.6** | სამედიცინო პერსონალის მომზადება (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამედიცინო უნივერსიტეტი, პირველადი ჯანდაცვა) ძუძუთი კვების საკითხებზე უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის ფარგლებში. | | | | | + | + | | | | | |
| **6.7** | მასმედიის საშუალებით ძუძუთი კვების პროპაგანდირების და ადვოკატირების ხელშეწყობა. | | | | | + | + | + | + | | | |
| **6.8** | WHO/UNICEF – ის მიერ მოწოდებული და ინოსენტის დეკლარაციით გათვალისწინებული “წარმატებული ძუძუთი კვების 10 საფეხურის” დანერგვა სამშობიარო სახლებში და ოპტიმალური კვების პრინციპების განხორციელების ხელშეწყობა ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებებში. | | | | | + | + | + | + | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **7** | **სურსათის და კვების პოლიტიკის განვითარება სკოლებში** | | | | | | | | | | | |
| **7.1** | სურსათის და კვების პოლიტიკის შემუშავება სკოლებისათვის | „ნუტრიციული“ სკოლების პროცენტული მაჩვენებელი | სუსტი | **საჭიროა:**<br>კანონმდებლობის გამკაცრება<br>საგანმანათლებლო პროგრამების და სერვისების განვითარება | სწორი კვების ხელშემწყობი გარემოს არსებობა სკოლებში | + | + | + | | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>ფინანსთა სამინისტრო<br>NCDC<br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | WHO<br>UNICEF<br>USAID<br>EUROCARE | |
| **7.2** | ჯანსაღი კვების გაიდლაინების შემუშავება და კვების განათლებითი პროგრამების განვითარება სკოლებში (იმ დისციპლინების შერჩევა ან დამატება, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ჯანსაღი კვების საკითხები), რომლის მიზანია სკოლის ბავშვების კვებითი ქცევების შეცვლა, ჯანსაღი კვების სპეციფიკური უნარ-ჩვევების შეძენა. | | | | | + | + | + | + | | | |
| **7.3** | ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინტეგრირება სკოლის ყველა ასპექტში, სურსათით მომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება, სრულფასოვანი სასურსათო პროდუქტების რეალიზების შესაძლებლობის შექმნა. | | | | | + | + | + | + | | | |
| **7.4** | საკვებ ნივთიერებებზე დაფუძნებული სტანდარტების შექმნა სკოლის სურსათისათვის. | | | | | + | + | | | | | |
| **7.5** | სოციალურად დაუცველი, ღარიბი ბავშვთა ჯგუფებისათვის "სუბსიდირებული სურსათის" პოლიტიკის განვითარება. | | | | | + | + | + | | | | |
| **7.6** | სკოლის უფასო სურსათთან დაკავშირებული "სტიგმის" პრევენცია | | | | | | | | | | | |
| **8** | **სათანადო საკანონმდებლო ბაზის ფორმირება** | | | | | | | | | | | |
| **8.1** | სურსათისა და ჯანსაღი კვების სფეროში სათანადო კანონმდებლობის შემუშავება. | საქართველოს კანონმდებლობის და სტანდარტების შესაბამისობა ევროკავშირის და საერთაშორისო რეგულაციებთან და სტანდარტებთან, აგრეთვე ჯანმოს რეკომენდაციებთან | სუსტი | **საჭიროა:**<br>საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სტანდარტების შემუშავება | სათანადო საკანონმდებლო ბაზის და სერვისების არსებობა | + | + | | | საქართველოს პარლამენტი<br>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარ | WHO<br>UNICEF<br>USAID<br>EUROCARE | |
| **8.2** | სურსათთან და კვებასთან დაკავშირებული სტანდარტების (სტანდარტები დაფასოებული სურსათისა და კვების დანამატების მარკირებისთვის; მოთხოვნები სურსათზე სპეციალურ დიეტაზე მყოფი მომხმარებლისთვის, სტანდარტები სასკოლო კვებისათვის; კვებითი სტანდარტები ეროვნული სურსათისთვის; კვებითი სტანდარტები ფორტიფიცირებული სასურსათო პროდუქტებისათვის და ა.შ.) | | | | | + | + | + | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC | | |
| 9 | სურსათის შემადგენლობის მონაცემთა ეროვნული ბანკის (ცხრილების) შექმნა | | | | | | | | | | | |
| 9.1 | სურსათის შემადგენლობის შესწავლისათვის ლაბორატორიული შესაძლებლობების შექმნა. | სურსათის კომპოზიციური ცხრილების და მონაცემთა ეროვნული ბანკის არსებობა<br><br>ხელმისაწვდომობა მონაცემებზე | ძალიან სუსტი | **საჭიროა:**<br><br>სურსათის ქიმიური ანალიზის ლაბორატორიული შესაძლებლობების შექმნა და კვლევების ფინანსური უზრუნველყოფა | მონიტორინგის და ზედამხედველობის გამართული სისტემის ფუნქციონირება | + | + | | | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC | WHO<br><br>UNICEF<br><br>USAID<br><br>EUROCARE | |
| 9.2 | ადგილობრივი წარმოების სურსათის შემადგენლობის შეწავლა და მონაცემთა ეროვნული ბაზის ფორმირება. | | | | | + | + | + | | | | |
| 9.3 | საჭირო პირობებისა და სათანადო ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა მისი შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის. | | | | | + | + | + | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **10** | **მონიტორინგის სისტემის განვითარება** | | | | | | | | | | | |
| **10.1** | სურსათის ვარგისიანობის შეფასების მეთოდოლოგიური სრულყოფა. | კვლევების, მონიტორინგის და შეფასების თანამედროვე სისტემების არსებობა | სუსტი | **საჭიროა:**<br><br>შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და კვლევების მეთოდოლოგიური და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარება<br><br>მონაცემების სწორი ინტერპრეტირების და რეკომენდაციების შემუშავების თანამედროვე მეთოდების დანერგვა | საზოგადოებრივი აქტიურობის მაღალი დონე ჯანსაღი კვების ხელშემწყობი გარემოს ფორმირებაში | + | + | | | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>NCDC | WHO<br><br>UNICEF<br><br>USAID<br><br>EUROCARE | |
| **10.2** | სურსათის მოხმარების და საკვები ნივთიერებების მიღების მონიტორინგი. ეს მოითხოვს მონაცემთა შეგროვების მეთოდების, სურსათის შემადგენლობის ცხრილების და ანალიტიკური მეთოდების სტანდარტიზაციას. | | | | | + | + | + | | | | |
| **10.3** | კვებითი ჯანმრთელობის ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება: | | | | | + | + | + | | | | |
| **10.3.1** | o კვებითი სტატუსის (ბიოლოგიური, კლინიკური და ანტროპომეტრიული მაჩვენებლები) | | | | | + | + | + | | | | |
| **10.3.2** | o ძუძუთი კვების ჩვევების | | | | | + | + | + | | | | |
| **10.3.3** | o კვებასთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილობის | | | | | + | + | + | | | | |
| **10.3.4** | o ჯანსაღი კვებისადმი დამოკიდებულების | | | | | + | + | + | | | | |
| **10.4** | სტრატეგიის რეალიზების შეფასების კვლევების წარმოება | | | | | + | + | + | + | | | |